საქრუსენერგო
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
SAKRUSENERGO
JSC UNITED ENERGY SYSTEM

N 05/288
31/05/2023

288-05-2-202305311655

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2021-2031 და 2022-2032 წლების ათწლიანი გეგმა ითვალისწინებს სომხეთის ელექტროსისტემასთან დამაკავშირებელი 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) მშნებელობას. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის თქვენს მიერ 2023 წლის 09 იანვარს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბრძანება N5/ს.

2023 წლის 06 მარტს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილით რომელსაც თან ერთვოდა 2023 წლის 16 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის წერილი სს გეს „საქრუსენერგოს“ ეცნობა რომ, საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი საპროექტო 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „მარნეული-აირუმის“ N119 საყრდენისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: N83.12.17.069 (ფართობი 382 კვ.მ) მდებარეობდა 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში და ფართობის დაახლოებით 173 კვ.მ გადადიოდა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაიგეგმა 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“, საპროექტო N119 საყრდენის განთავსების მდებარეობის ცვლილება. ცვლილების შედეგად N119 ანძის პროექტით გათვალისწინებული მდებარეობა გადმოიწია საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში 65 მეტრით. პროექტით გათვალისწინებული კოორდინატები იყო: X 491905.92 Y 4568441.01, ხოლო შეცვლილი მდებარეობის კოორდინატებია: X 491940.37 Y 4568496.38. შეცვლილი მდებარეობის კოორდინატები და განაშენიანების ფართობი შეთანხმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან, მოხდა პირვანდელ მდებარეობაზე 83.12.17.069 ს. კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილება შეცვლილ მდებარეობაზე. შეცვლილი მდებარეობა და განაშენიანება ასევე შეთანხმდა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში. გამოცემული იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N99 (31.05.2023) სასაზღვრო ზოლში ზოგიერთი სამეურნეო საქმიანობის დაშვების შესახებ.

აღნიშნული იწვევს 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ ახალასაშენებელი მონაკვეთის (500 კვ ეგხ „მუხრანის“ N42 ანძიდან საქართველი-სომხეთის საზღვრამდე) პროექტისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, რისთვისაც შპს „მაგმას“ მიერ მომზადდა 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიში.

მარკ ბრომშტეინის ქ. 1: 0178, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 20 33 88; ფაქსი: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge ელ.ფოსტა:info@sakrusenergo.ge
ს/კ 211324468

1 Mark Bronstein Str., 0178, Tbilisi. Georgia
Tel: +995 322 20 33 88; Fax: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge E-mail:info@sakrusenergo.ge
i/w 211324468

წარმოგიდგენთ 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ ელექტროგადამცემი ხაზის, სკრინინგის ანგარიშს და SHP ფაილებს N119 საყრდენის კორექტირებული მდებარეობის გათვალისწინებით. ასევე გაცნობებთ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების N5/ს ით გათვალისწინებულ სხვა საპროექტო საყრდენების მდებარეობებს ცვლილება არ შეხებია.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და შეითანხმოთ 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ მშენებლობასთან მიმართებაში.

დანართი:

- სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 06 მარტის წერილი N5/12448 – 1 ფურცი;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2023 წლის 16 თებერვლის წერილი MIA 4 23 00453499 – 3 ფურცი;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2023 წლის 22 მარტის წერილი MIA 5 23 00815092 –1 ფურცი;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 6 აპრილის N10/19126 წერილი, საპროექტო N119 ანძაზე დამაგრებული, N83.12.17.069 ს კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებაზე;
- 500კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიში - მატერიალური სახით;
- 500კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.
- 500 კვ ეგხ ,,მარნეული აირუმის“ SHP ფაილები კორექტირებული N119 საყრდენის გათვალისწინებით;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 მაისის წერილი N 22.05.23. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენოს წერილი N17/1460 -1 ფურცი;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 31 მაისის ბრძანება N99 სასაზღვრო ზოლში ზოგიერთი სამეურნეო საქმიანობის დაშვების შესახებ.

პატივისცემით,

არჩილ ნიკოლაშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი